ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7068456

ნომერი: AR11039291

თარიღი : 30.05.2024

გაცემის თარიღი : 06.06.2024

გაცნობის თარიღი : 06.06.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი რუსთავი , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შუქრი ფერაძე პ/ნ 01019009367
- თბილისი დიდუბის დას. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ოქტომბრის №6723809 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024

წლის 30 მაისის №AR11039291 განცხადებით მომართა შუქრი ფერაძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 24 ოქტომბრის №6723809 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ოქტომბრის №6723809 გადაწყვეტილებით, სამსახური დაეთანხმა №01.18.12.003.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის, ფუნქციით კომერციული, შენობა-ნაგებობის მშენებლობის სამუშაოებში კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 24 ოქტომბრის №6723809 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ, „კორექტირებული ფოტომონტაჟი“-ს ველში ატვირთულ გეგმაზე (პირველი ფურცელი) დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ფართობებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმა შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ოქტომბრის №6723809 გადაწყვეტილებაში და აღნიშნული გადაწყვეტილებით შეთანხმებული „კორექტირებული ფოტომონტაჟი“-ს ველში ატვირთული გეგმა (პირველი ფურცელი), ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ოქტომბრის №6723809 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 ოქტომბრის №6723809 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.